



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011701919120121

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 131336

26 / მარტი / 2021 წ.

**გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 142274/17; **თარიღი:** 25.03.2021 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი:** ანზორ გიგინეიშვილი (პირადი ნომერი 33001032041).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის გურიის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „გურიის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ № 882020502531-04 (26.02.2021 წ.) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა:** გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა გომისძთა, ბლოკი № 01087. „აჭარლების დასახლების“ დასაწყისი.

№ 882020502531 სარეგისტრაციო განცხადებაზე წარმოების ეტაპზე, საკუთარი განცხადების საფუძველზე, დაინტერესებულ პირად ჩართულია გელა გიგინეიშვილი (პირადი ნომერი 62001026173).

№142274/17 (25.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი, ხოლო ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით გარანტირებულია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შეამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე, 95-ე, 98-ე, 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ანზორ გიგინეიშვილის (პირადი ნომერი 33001032041) №142274/17 (25.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. № 142274/17 (25.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს: გელა გიგინეიშვილი (პირადი ნომერი 62001026173).

3. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე მუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა ანარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

4. გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით გურიის რეგიონულ ოფისს დაევალოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობითი დასკვნისა და ყველა სარეგისტრაციო დოკუმენტის წარმოდგენა.

5. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოს გურიის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს.


6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), ოზურგეთის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, იოანე პეტრიწის ქუჩა № 9), მუხაესტატეს და ქობულეთის საზოგადოებრივ ცენტრებში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

დავით დევიძე